

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

სსიპ- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის -**რაფიელ აგლაძის სახელობის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის** სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის ვაკანტურ თანამდებობაზე ასარჩევად კონკურსის გამოცხადების შესახებ

1. **რაფიელ აგლაძის სახელობის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელს**, თსუ დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - **რაფიელ აგლაძის სახელობის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის** დებულების შესაბამისად, ღია კონკურსის საფუძველზე ირჩევს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო და ამტკიცებს ინსტიტუტის დირექტორი.

2. **რაფიელ აგლაძის სახელობის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელად** შეიძლება აირჩეს პირი, რომელიც აკმაყოფილებს **რაფიელ აგლაძის სახელობის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის** მთავარი მეცნიერი თანამშრომლისთვის (ვადიანი) ან უფროსი მეცნიერი თანამშრომლისთვის დადგენილ მოთხოვნებს, რაც გათვალისწინებულია თსუ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 31 მაისის N63/2017 დადგენილებით მიღებული და წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 23 ივნისის N3 სხდომის ოქმით დამტკიცებული „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესი“-თ და სამეცნიერო თანამდებობის დაკავების დამატებითი პირობების მე-2 მუხლითა და „საკონკურსო თანამდებობებისათვის განსაზღვრული კრიტერიუმები ინსტიტუტების და სამეცნიერო თანამდებობების მიხედვით“ მე-10 მუხლის მე-2 პუნქტით ან მესამე პუნქტით.

3. **კონკურსი ცხადდება** შემდეგი სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობათა დასაკავებლად:

- გამოყენებითი ქიმიის განყოფილება;
- ფუნდამენტური კვლევებისა და კომპოზიციური მასალების სინთეზის განყოფილება;
- კოორდინაციული ნაერთებისა და სორბციულ-კატალიზური პროცესების განყოფილება;
- მაღალი ენერგიების ქიმიის განყოფილება;
- ფიზიკურ-ქიმიური კვლევისა და ანალიზის განყოფილება;

4. **კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს:**

4.1. საკონკურსოდ გამოცხადებული ვაკანსიის პროფილის მიხედვით მთავარი მეცნიერი თანამშრომლისათვის (ვადიანი) ან უფროსი მეცნიერი თანამშრომლისთვის დადგენილ ძირითად მოთხოვნებს, რაც მდგომარეობს შემდეგში:

ა) მთავარი მეცნიერი თანამშრომელი (10 წლის ვადით) - დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება (რაც გულისხმობს არა მხოლოდ სამეცნიერო-კვლევით, უმაღლეს საგანმანათლებლო ან სხვა პროფილურ დაწესებულებაში სამეცნიერო თანამდებობაზე

მუშაობას, არამედ გამოქვეყნებულ სამეცნიერო პუბლიკაციებსაც), ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული ან გამოსაქვეყნებლად მიღებული სამეცნიერო პუბლიკაციები, მათ შორის არანაკლებ 3 რეიტინგული სამეცნიერო პუბლიკაცია მაინც სამეცნიერო-კვლევითი პროდუქციის კლასიფიკაციის მიხედვით.

ბ) უფროსი მეცნიერი თანამშრომელი (7 წლის ვადით) - დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილება (რაც გულისხმობს არა მხოლოდ სამეცნიერო-კვლევით, უმაღლეს საგანმანათლებლო ან სხვა პროფილურ დაწესებულებაში სამეცნიერო თანამდებობაზე მუშაობას, არამედ გამოქვეყნებულ სამეცნიერო პუბლიკაციებსაც), ბოლო 7 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული ან გამოსაქვეყნებლად მიღებული სამეცნიერო პუბლიკაციები, მათ შორის არანაკლებ 2 რეიტინგული სამეცნიერო პუბლიკაცია მაინც სამეცნიერო-კვლევითი პროდუქციის კლასიფიკაციის მიხედვით.

ასევე თსუ რაფიელ აგლაძის სახელობის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის სპეციფიკიდან გამომდინარე **დამატებით მოთხოვნებს:**

**მთავარი მეცნიერი თანამშრომლისათვის-**

ა) კონკურსანტს ფუნდამენტალური კვლევების მიმართულებით დამატებით მოეთხოვება-2 სტატია მაღალრეიტინგულ ჟურნალში ან 1 სტატია მაღალრეიტინგულ ჟურნალში და 1 მონოგრაფია ან 1 სტატია მაღალრეიტინგულ ჟურნალში და 1 პატენტი ან 1 სტატია მაღალრეიტინგულ ჟურნალში და მონაწილეობა სამეცნიერო-კვლევით პროექტში;

ან

ბ) კონკურსანტს გამოყენებითი კვლევების მიმართულებით დამატებით მოეთხოვება - 2 პატენტი ან 1 პატენტი და 1 სტატია მაღალრეიტინგულ ჟურნალში ან 1 პატენტი და 1 მონოგრაფია ან 1 პატენტი და მონაწილეობა სამეცნიერო-კვლევით პროექტში.

**უფროსი მეცნიერი თანამშრომლისათვის კონკურსანტს დამატებით მოეთხოვება ვაკანსიის პროფილის მიხედვით მიღებული 1 პატენტი ან 1 სტატია გამოქვეყნებული მაღალრეიტინგულ ჟურნალში ან მონაწილეობა სამეცნიერო-კვლევით პროექტში**

**შენიშვნა:** მაღალრეიტინგული გულისხმობს, რომ შესაბამისი სამეცნიერო პროდუქტი ასახულია ან ტომსონ როიტერის Web of Science-ის ან Scopus-ის ან Google Scholar -ის ბაზაში.

4.2. კანდიდატს უნდა ჰქონდეს სამეცნიერო-ორგანიზაციული მუშაობის (მენეჯმენტის), გამოცდილება.

#### 5. კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სახელზე. განცხადებაში მითითებული უნდა იყოს დაინტერესებული პირის ვინაობა, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, ელ. ფოსტის მისამართი;

ბ) ავტობიოგრაფია (CV), სამეცნიერო პუბლიკაციების ნუსხითურთ, შედგენილი კონკურსანტისათვის მისაღები ფორმით მისი მოღვაწეობის სრულად ასასახავად;

გ) პირადობის მოწმობის ან პასპორტის სურათიანი გვერდის ასლი;

დ) შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი, უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების ან/და სამეცნიერო ხარისხის აღიარების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ასლი;

ე) სამსახურეობრივი გამოცდილების ამსახველი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი (ცნობა/შრომის წიგნაკის ასლი/სხვ.);

ვ) სამეცნიერო-ორგანიზაციული მუშაობის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

ზ) განყოფილების მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი დებულების პროექტი, სადაც მოცემული იქნება თსუ რაფიელ აგლაძის სახელობის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის დებულებიდან გამომდინარე განყოფილების წინაშე მდგარი ამოცანების გადაჭრისა და ფუნქციების შესრულების მისეული ხედეა.

თ) კონკურსი გამოცხადდეს 2024 წლის 9 დეკემბერს. საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება იწარმოებს 2024 წლის 19 დეკემბრიდან 25 დეკემბრის ჩათვლით 10:00-დან 17:00 საათამდე, ინსტიტუტის შენობაში, თბილისი, მინდელის ქ. №11 ოთახი № 205.

ინსტიტუტის დირექტორის ბრძანება განყოფილების ხელმძღვანელის თანამდებობაზე საბჭოს მიერ არჩეული პირების დამტკიცების შესახებ ეცნობის თსუ-ს ადმინისტრაციას არა უგვიანეს 2025 წლის 20 იანვრისა.

კონკურსი გამოცხადებულია თსუ რაფიელ აგლაძის სახელობის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის რეორგანიზაციის მიზნებისათვის და მისი შედეგები ძალაში შედის 2025 წლის 14 თებერვლიდან.